სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/32

ქ. თბილისი 14 ივნისი 2019

სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე „დიპლომატიური ოსტატობის სასწავლო-პრაქტიკული ლაბორატორიის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აპრილის №01-05-04/82 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 14 ივნისის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიურ დეპარტამენტში შეიქმნას „დიპლომატიური ოსტატობის სასწავლო-პრაქტიკული ლაბორატორია“ და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**